საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

გია ტაბლიაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

ანა ხურციძე – კოლეგიის წევრი

ანა ლორია – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – ნ. ო., ი. ო.

საჩივრის ავტორის წარმომადგენელი - ლ. მ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 26.12.2017

საჩივრის რეგისტრაციის № 101/17

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ფ. მ.-ის მიმართ /სიითი №..../

ადვოკატის წარმოამდგენელი: ადვოკატი ი. ბ. /სიითი N..../

საჩივრის ავტორის მოთხოვნა: ადვოკატ ფ. მ.-ისათვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორთა პოზიცია:**

1.1 2017 წლის 26 დეკემბერს სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" ეთიკის კომისიას საჩივრით მომართეს ნ. ო.-მ და ი. ო.-მ და მოითხოვეს ადვოკატ ფ. მ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება და გადახდილი თანხის უკან დაბრუნება.

1.2 საჩივრის ავტორთა განცხადებით, მათი ურთიერთობა ადვოკატ ფ. მ.-სთან დაიწყო 2015 წლის 25 აგვისტოს, წერილობითი საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების გაფორმებით. ადვოკატს უნდა ეწარმოებინა საჩივრის ავტორების სამოქალაქო საქმე გამოსახლების თაობაზე. გამოსახლება დანიშნული იყო 2015 წლის 26 აგვისტოს.

1.3 საჩივრის ავტორების განმარტებით, ადვოკატი მივიდა მათთან სახლში გამოსახლების დღეს - 2015 წლის 26 აგვისტოს, თუმცა ამ დღეს ისინი არ გამოასახლეს, რადგან ნ. ო.-ს გადატანილი აქვს

იშემიური ინსულტი (ტვინის ინფარქტი), გახდა ცუდად და სასწრაფო დახმარების ექიმებმა არ დაუშვა მისი გამოსახლება. გამოსახლების პროცესი გადაიტანეს 10 დღის შემდეგ. საჩივრის ავტორების განმარტებით, ისინი სახლიდან გამოასახლეს 2015 წლის 11 სექტემბერს, რასაც ადვოკატი ფ. მ. არ ესწრებოდა.

1.4 საჩივრის ავტორთა განმარტებით, ადვოკატმა მათ საქმეზე სარჩელით და სარჩელის უზრუნველყოფის მოთხოვნის შესახებ განცხადებით მიმართეს სასამართლოს 2015 წლის 28 აგვისტოს. სასამართლომ უზრუნველყოფის ღონისძიება არ გამოიყენა - აღსრულება არ შეჩერდა, ხოლო სარჩელი მიიღო სასამართლომ წარმოებაში.

1.5 საჩივრის ავტორთა განმარტებით, ადვოკატმა სარჩელში მიუთითა არასწორი მოპასუხე - ეკონომიკის სამინისტრო - ფინანსთა სამინისტროს ნაცვლად და შესაგებელი დროულად არ ჩაიბარა, რომ ეს გარემოება გამოერკვია. საჩივრის ავტორთა განმარტებით, ამის გამო დაკარგეს 1 წელი.

1.6 საჩივრის ავტორთა განმარტებით, ადვოკატი კლიენტების მიერ განხორციელებულ სატელეფონო ზარებს ზერელედ პასუხობდა და მათ არ აწვდიდა ინფორმაციას საქმის მსვლელობასთან დაკავშირებით.

1.7 საჩივრის ავტორთა განმარტებით, როდესაც მათ სახლს ანგრევდნენ, ადვოკატმა შესთავაზა სახლის დაშლა და მასალების წაღება. საჩივრის ავტორების განცხადებით, ადვოკატის მითითების შესრულებას სახლის დანგრევასთან დაკავშირებით, შესაძლებელია მათთვის უარყოფითი შედეგი გამოეწვია. საჩივრის ავტორების განცხადებით, ამ ფაქტით გამოიკვეთა ადვოკატის უცოდინრობა, რადგან სახლის დანგრევის შემთხვევაში ექსპერტიზა ვეღარ ჩატარდებოდა. რეალურად სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ბიურომ ექსპერტიზა ვერ ჩაატარა, რადგან როდესაც მივიდნენ, სახლი იყო დანგრეული.

1.8 საჩივრის ავტორთა განმარტებით, ადვოკატმა არ მიაწოდა მათ ინფორმაცია სასამართლო სხდომის ჩანიშვნის თაობაზე, რომელიც 2016 წლის 29 თებერვალს უნდა გამართულიყო. მათივე განმარტებით, აღნიშნულის თაობაზე საჩივრის ავტორებმა შეიტყვეს შემთხვევით, სხდომამდე ერთი დღით ადრე, 2016 წლის 28 თებერვალს ლ. მ.-მა დარეკა სასამართლოში და სხდომის მდივანისგან შეიტყო ინფორმაცია მეორე დღეს ჩანიშნული სასამართლო სხდომის თაობაზე. საჩივრის ავტორთა განცხადებით, ადვოკატს მათთვის სხდომის თარიღი არ უცნობებია. ამ სხდომაზე ადვოკატი გამოცხადდა 15 წუთის დაგვიანებით, რის გამოც მათ ადვოკატს აცილება მისცეს.

1.9 საჩივრის ავტორთა განცხადებით, ადვოკატი სასამართლოს სხდომებზე ცხადდებოდა მოუმზადებელი - არ იცნობდა საქმის მასალებს და საქმის წარმოებას ეკიდებოდა უგულისყუროდ.

1.10 საჩივრის ავტორთა განმარტებით, საადვოკატო ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ მათ სცადეს ადვოკატთან მოლაპარაკება საადვოკატო მომსახურების თანხის ნაწილის დაბრუნების შესახებ, თუმცა უშედეგოდ, ადვოკატი უარს აცხადებს დაუბრუნოს მათ მიღებული თანხის ნაწილი მაინც, რადგან მათ შორის გაფორმებული საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებით, ჰონორარი არ ექვემდებარება დაბრუნებას.

1.11 2017 წლის 26 იანვარს საჩივრის ავტორთა წარმომადგენელმა საპროცესო კოლეგიის სხდომაზე დამატებით განმარტა, რომ პირველ ინსტანციაში საქმე წააგეს, მათი მოთხოვნა კომპენსაციის

დაკისრების შესახებ არ დაკმაყოფილდა. ამჟამად საქმის განხილვა მიმდინარეობს სააპელაციო წესით.

1.12 საჩივრის ავტორის წარმომადგენლის განმარტებით, იმ საზღაურის ფარგლებში, რომელიც მისმა მარწმუნებელმა გადაუხადა ადვოკატ ფ. მ.-ს, ადვოკატს საქმე ბოლომდე უნდა მიეყვანა.

1.13 საჩივრის ავტორის ი. ო.-ის განმარტებით, ე.წ. ,,ატსტუპნიკებს" კომპენსაციას აძლევს ფინანსთა სამინისტრო - 2007 წლიდან, ხოლო ადვოკატმა ეთიკის კომისიაში წარმოდგენილ ახსნა-განმარტებაში მიუთითა, რომ კომპენსაციას აქამდე გასცემდა ეკონომიკის სამინისტრო, რის გამოც მიუთითა ის მოპასუხედ, ხოლო საქმის წარმოების პროცესში, 2016 წელს, ეს წესი შეიცვალა და ახლა, კომპენსაციას გასცემს ფინანსთა სამინისტრო. საჩივრის ავტორების განმარტებით, ადვოკატს დროულად რომ ჩაებარებინა შესაგებელი, დროს არ დაკარგავდნენ და 2015 წლის ოქტომბრის თვეში შეცვლიდნენ მოპასუხეს.

1.14 საჩივრის ავტორმა ი. ო.-მ 2018 წლის 25 ივლისის სხდომაზე დამატებით განმარტა, რომ როდესაც ადვოკატმა ელექტრონულად ნახა სასამართლოს ბაზაში, რომ სარჩელი არ იყო შეტანილი სათანადო მოპასუხის მიმართ, ეს მათთვის არ შეუტყობინებია. მას არ უცდია შეცდომის გამოსწორება - რომ სარჩელი შეეტანა სათანადო მოპასუხის მიმართ, თვეების განმავლობაში.

1.15 ი. ო.-ის განმარტებით, ადვოკატს მოსამართლის თანაშემწისათვის არ უცნობებია, რომ აგვიანდებოდა. სხდომაზე ადვოკატის გამოუცხადებლობის მიზეზი ყველასთვის იყო უცნობი.

2. ადვოკატის ახსნა-განმარტება:

2.1 2018 წლის 09 იანვარს ადვოკატმა ფ. მ.-მ ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება, ადვოკატი არ დაეთანხმა მომჩივანთა პოზიციას და განმარტა, რომ მისი მორალური ღირებულებებიდან გამომდინარე, მისთვის უზენაეს ღირებულებას წარმოადგენს ადვოკატის საქმიანობის ისეთი პრინციპები, როგორიცაა ნდობა, კონფიდენციალობა, კლიენტის ინტერესების პრიორიტეტულობა, ადვოკატის მიერ კლიენტის უფლებებისა და თავისუფლების დაცვა და პატივისცემა. აქედან გამომდინარე, მან შეასრულა საადვოკატო მომსახურების ხელშკერულებით მისთვის დაკისრებული ყველა მოვალეობა.

2.2 ადვოკატის განმარტებით, მასსა და ი. ო.-ს შორის საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება დაიდო 2015 წლის 25 აგვისტოს. სასამართლოში სარჩელის აღძვრისას სათანადო მოპასუხეს წარმოადგენდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, რადგან ის იყო კომპენსაციის გაცემაზე უფლებამოსილი ორგანო. შემდეგ კომპენსაციის გაცემა მოცემული სახის დავებზე დაექვემდებარა ფინანსთა სამინისტროს კომპეტენციას. შესაბამისად, შეიცვალა მოპასუხე მხარე - რაც მასზე, როგორც ადვოკატზე, არ იყო დამოკიდებული.

2.3 ადვოკატის განცხადებით, შესაგებელი როგორც კი აიტვირთა ელექტრონულად, ის გაეცნო, თუმცა სათანადო მოპასუხის საკითხს მოსამართლის გარეშე ვერ გადაწყვეტდა. მოსამართლემ კი საქმეთა სიმრავლიდან გამომდინარე ამ საქმეზე სხდომა გვიან ჩანიშნა, ამ ყველაფერმა გამოიწვია პროცესის გაჭიანურება. მან ეს ყველაფერი კლიენტს აუხსნა და ეგონა კლიენტმა გაიგო, თუმცა შეცდა.

2.4 ადვოკატის განმარტებით, როდესაც მან კლიენტს ურჩია სახლის დანგრევა და მასალების წაღება, ამ დროს უკვე დამთავრებული იყო აღსრულების ღონისძიება - გამოსახლება და ინვესტორი აშენებდა კორპუსს. სახლს ინვესტორი თავად დაანგრევდა და მისი რჩევა კლიენტისათვის, რომ მასალები მაინც წაეღოთ, გამომდინარეობდა იქედან, რომ გაეყიდათ ეს მასალები და ცოტაოდენი თანხა მაინც დარჩენოდათ.

2.5 ადვოკატის განმარტებით, 2016 წლის 29 თებერვლის სხდომის თაობაზე მას წინასწარ ჰქონდა ინფორმაცია მიწოდებული კლიენტისათვის. სხდომის დღის წინა საღამოს კიდევ შეახსენა, რა დროსაც კლიენტმა უთხრა, რომ არ იცოდა სხდომის შესახებ, რეალურად იცოდა, მაგრამ დაავიწყდა.

2.6 ადვოკატის განმარტებით, ის საქმის მიმდინარეობის ყველა დეტალს აცნობდა მხარეს. მხარის დასწრება პროცესზე სავალდებულო არ არის, როდესაც ის წარმოდგენილია ადვოკატით. მხარე თანხას იხდის ამ კომფორტში და მან ამ ყველაფრით უზრუნველყო თავისი კლიენტები.

2.7 ადვოკატის განმარტებით, მან სხდომაზე დააგვიანა 10 წუთით, რის გამოც მხარემ მას აცილება მისცა. ამ დღეს ის მოდიოდა სხვა პროცესიდან და მოყვა ,,საცობში", ამის თაობაზე ინფორმაცია მიაწოდა მოსამართლის თანაშემწეს. შესაბამისად, ეს არ ყოფილა მიზანმიმართული დაგვიანება.

2.8 ადვოკატის განმარტებით, თავდაპირველად, მასთან კლიენტი მივიდა გამოსახლების წინა დღეს. მან როგორც ადვოკატმა, გამოსახლების დღეს მთელი დღე კლიენტის სახლში გაატარა და ორჯერ შეაჩერა გამოსახლება მაშინ, როდესაც მთელი უბანი, დაახლოებით 50 ოჯახი, გამოასახლეს. გამოსახლება გადაიდო 10 დღით. მან სარჩელი შეიტანა სასამართლოში მოთხოვნის უზრუნველყოფის ღონისძიებასთან ერთად და ითხოვდა გამოსახლების შეჩერებას. მისი კლიენტები იყვნენ საცხოვრებელი სადგომით მოსარგებლეები, ე.წ. ,,ატსტუპნიკები". მოსამართლემ სარჩელი წარმოებაში მიიღო, მაგრამ აღსრულება არ შეაჩერა, რადგან დავის საგანს წარმოადგენდა არა სადგომი, არამედ კომპენსაციის მიღება სახელმწიფოსგან. თუმცა ,,საცხოვრებელი სადგომით წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ" საქართველოს კანონში პირდაპირაა მითითებული, რომ დაუშვებელია მოსარგებლის გამოსახლება, სანამ ის კომპენსაციას არ მიიღებს. მის მიერ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებაში მითითებული ეს საფუძველი მოსამართლემ არ გაითვალისწინა და რადგან გამოსახლებამდე 3 დღე იყო დარჩენილი, მან უზრუნველყოფის დაკმაყოფილებაზე უარი სააპელაციო წესით ვერ გაასაჩივრა. მან ეს ყველაფერი აუხსნა კლიენტს. კლიეტმა ეს ხარვეზი ჩათვალა მისი - როგორც ადვოკატის ხარვეზად და აქედან დაიწყო მათი მხრიდან უკმაყოფილება.

2.9 ადვოკატის განცხადებით, გამოსახლების მიუხედავად მან დავა გააგრძელა. მის კლიენტებს სახელმწიფოსაგან უნდა მიეღოთ კომპენსაცია, როგორც ადმინისტრაციული აქტით მოსარგებლეებს, საცხოვრებელი სადგომის საბაზრო ღირებულების 100%-ით. სანამ სახლს დაანგრევდნენ, მანამდე მათ მიერ ექსპერტიზა ჩატარდა, თუმცა მოპასუხე ითხოვდა ექსპერტიზა ჩაეტარებინა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს. მოსამართლეს განემარტა, რომ სახლი იყო უკვე დანგრეული, მიუხედავად ამისა, მის მიერ წარდგენილი სურათებით ექსპერტიზა მაინც ჩატარდა, რომლის პასუხი ცნობილი უნდა ყოფილიყო იმ პროცესზე, რომელზეც აცილება მისცა მას კლიენტმა. მან კლიენტს არაერთხელ განუმარტა, რომ მოპასუხეს ჰქონდა უფლება ედავა კომპენსაციის ოდენობაზე, რაც კლიენტმა მის საწინააღმდეგოდ გაიგო.

2.10 ადვოკატის განმარტებით, მან ჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებები, დავა იყო მომგებიანი, თუმცა მხარემ არ დააცადა საქმის წარმოების ბოლომდე მიყვანა.

2.11 ფ. მ.-ის წარმომადგენელმა ადვოკატმა ი. ბ.-მ საპროცესო კოლეგიის 2018 წლის 28 თებერვლის სხდომაზე ითხოვა ვადა საჩივრის ავტორებთან მოსარიგებლად, კოლეგიამ მას მისცა 2 კვირის ვადა მოსარიგებლად.

2.12 ფ. მ.-ის წარმომადგენელმა ადვოკატმა ი. ბ.-მ საპროცესო კოლეგიის 2018 წლის 11 მაისის სხდომაზე განმარტა, რომ მის მარწმუნებელსა და საჩივრის ავტორებს შორის მორიგება ვერ შედგა.

2.13 ადვოკატის წარმომადგენლის განმარტებით, საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება შეწყვიტა კლიენტმა, ასეთი გარემოება გათვალისწინებული იყო ხელშეკრულებაში, ამიტომ ფ. მ. მიიჩნევს, რომ არ უნდა დააბრუნოს საადვოკატო მომსახურების თანხის ნაწილი.

2.14 ადვოკატის წარმომადგენლის განმარტებით, საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება მოიცავდა საქმის სრულად დასრულებას.

2.15 ადვოკატის წარმომადგენლის განმარტებით, დაგვიანება, რომელსაც არ მოყოლია საქმისათვის საზიანო შედეგი - სასამართლოს არ გამოუტანია დაუსწრებელი გადაწყვეტილება, არ უნდა ჩაითვალოს ხელშეკრულების გაუქმების საფუძვლად. რაც შეეხება საჩივრის ავტორთა პრეტენზიას ადვოკატ ფ. მ.-ის გულგრილობასთან დაკავშირებით, განმარტავს, რომ გულგრილობას უნდა მოყვეს რაიმე უარყოფითი შედეგი, რასაც ამ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

3.1 2018 წლის 11 მაისს მესამე დისციპლინურმა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ფ. მ.-ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2 საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ იმ შემთხვევაში თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატ ფ. მ.-სა და საჩივრის ავტორებს შორის საადვოკატო მომსახურება დასრულდა მხარეთა შეთანხმებით აღებული ვალდებულების ბოლომდე შესრულებამდე, ადვოკატს მიღებული ჰქონდა საადვოკატო მომსახურების თანხა წინასწარ და საადვოკატო მომსახურების შეწყვეტის შემდეგ, მან ნ. და ი. ო.-ებს არ დაუბრუნა გამოუმუშავებელი საადვოკატო მომსახურების თანხის ნაწილი, სავარაუდოდ დარღვეული იქნებოდა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-12 და მე-15 ნაწილები.

3.3 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა საჩივრის ავტორის პრეტენზიაზე ადვოკატის მიერ საქმის არაკვალიფიციურად წარმართვის თაობაზე - ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილის ფარგლებში და მიიჩნია, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე აღნიშნული ნორმის დარღვევა არ დასტურდება.

II სამოტივაციო ნაწილი

4. საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

4.1 განხილვის კოლეგიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

საჩივრის ავტორისა და მოპასუხე ადვოკატის პოზიციებიდან, ასევე საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, ეთიკის კომისიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

4.1.1 ი. ო.-სა და ადვოკატ ფ. მ.-ს შორის საადვოკატო მომსახურების თაობაზე შეთანხმება წერილობითი ფორმით დაიდო 2015 წლის 25 აგვისტოს. ხელშეკრულებით ადვოკატმა აიღო ვალდებულება, კლიენტის ინტერესები წარმოედგინა სამივე ინსტანციის სასამართლოში.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

2015 წლის 25 აგვისტოს ხელშეკრულება საადვოკატო მომსახურების შესახებ;

განხილვის კოლეგიის 2018 წლის 25 ივლისის სხდომის ოქმი.

4.1.2 ნ. ო.-სა და ადვოკატ ფ. მ.-ს შორის მინდობილობა გაფორმდა 2015 წლის 04 სექტემბერს.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

2015 წლის 04 სექტემბრის N ..... მინდობილობა;

განხილვის კოლეგიის 2018 წლის 25 ივლისის სხდომის ოქმი.

4.1.3 ადვოკატმა ჰონორარის სახით კლიენტისაგან აიღო 1000 (ათასი) აშშ დოლარი. აქედან 700 (შვიდასი) აშშ დოლარი ი. ო.-მ ადვოკატს გადასცა ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე, ხოლო დარჩენილი 300 (სამასი) აშშ დოლარი გადასცა 2015 წლის 05 სექტემბერს.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

საჩივრის ავტორთა წერილობითი და ზეპირი პოზიცია;

ადვოკატ ფ. მ.-ის 2018 წლის 09 იანვრის ახსნა-განმარტება;

განხილვის კოლეგიის 2018 წლის 25 ივლისის სხდომის ოქმი.

4.1.4 ადვოკატმა ფ. მ.-მ, როგორც ნ. ო.-ის წარმომადგენელმა სასამართლოს სარჩელით მიმართა 2015 წლის 07 სექტემბერს, სადაც მოპასუხედ მიუთითა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

2015 წლის 07 სექტემბრის სარჩელი საქმეზე N2/X-15.

4.1.5 2016 წლის 29 თებერვლის სასამართლოს სხდომაზე ადვოკატმა ფ. მ.-მ 10-15 წუთი დააგვიანა.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

ნ. და ი. ო.-ების 2017 წლის 26 დეკემბრის საჩივარი;

ადვოკატ ფ. მ.-ის 2018 წლის 09 იანვრის ახსნა-განმარტება;

განხილვის კოლეგიის 2018 წლის 25 ივლისის სხდომის ოქმი.

4.1.6 2018 წლის 28 თებერვლის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ადვოკატ ფ. მ.-ის წარმომადგენელმა ითხოვა ვადა საჩივრის ავტორთან მოსარიგებლად. კოლეგიამ მხარეებს მოსარიგებლად მისცა 2 კვირის ვადა. მხარეთა შორის მორიგება ვერ შედგა.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

საპროცესო კოლეგიის 2018 წლის 28 თებერვლის და 2018 წლის 11 მაისის სხდომები;

განხილვის კოლეგიის 2018 წლის 25 ივლისის სხდომის ოქმი.

სადავო ფაქტობრივი გარემოებები:

ადვოკატი კლიენტს არ აწვდიდა ინფორმაციას საქმის მიმდინარეობის შესახებ. მათ შორის, ადვოკატმა ფ. მ.-მ კლიენტს არ მიაწოდა ინფორმაცია 2016 წლის 26 თებერვალს ჩანიშნული სასამართლო სხდომის შესახებ. ადვოკატი ფ. მ. ნ. ო.-ს თავად არასოდეს ურეკავდა და ნ. ო.-ის ზარებს პასუხობდა ისე, რომ კლიენტი ინფორმაციას სრულყოფილად ვერ იღებდა.

ეთიკის კომისიას მოცემული გარემოება მიაჩნია სადავოდ, რადგან საჩივრის ავტორსა და ადვოკატ ფ. მ.-ს განსხვავებული პოზიციები გააჩნიათ მოცემულ გარემოებებთან დაკავშირებით.

ა) საჩივრის ავტორის განმარტებით, მან ინფორმაცია სხდომის თარიღის შესახებ შეიტყო შემთხვევით, სხდომის წინა დღეს, მოსამართლის თანაშემწისაგან. მისთვის ინფორმაცია სხდომის თაობაზე ადვოკატს არ მიუწოდებია.

ბ) ადვოკატის განმარტებით, კლიენტი იყო მუდმივად ინფორმირებული. მან როგორც კი შეიტყო სხდომის თარიღის თაობაზე, ინფორმაცია მიაწოდა კლიენტს.

გ) კოლეგია განმარტავს, რომ იმ ფაქტის მტკიცების ტვირთი, მიაწოდა თუ არა კლიენტს ინფორმაცია სხდომის თარიღის შესახებ, ასევე რა ინტენსივობით ჰქონდათ კონტაქტი მათ, აკისრია ადვოკატს. ადვოკატ ფ. მ.-ს კომისიისათვის არ წარმოუდგენია სარწმუნო მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ იგი აწვდიდა კლიენტს ინფორმაციას საქმის მიმდინარეობის თაობაზე. მათ შორის, ადვოკატმა ვერ დაამტკიცა სარწმუნო მტკიცებულებით, რომ მან კლიენტს მიაწოდა ინფორმაცია სხდომის თარიღის შესახებ. შესაბამისად, ეთიკის კომისიამ დაადგინა, რომ ადვოკატ ფ. მ.-ს სხდომის თარიღის თაობაზე ინფორმაცია კლიენტისათვის არ მიუწოდებია.

5. შემაჯამებელი დასკვნა:

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის განხილვის კოლეგია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ფ. მ.-ის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

6. სამართლებრივი შეფასება:

6.1 განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ ფ. მ.-ის მიერ დარღვეულია შემდეგი ნორმები:

6.1.1 ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტი: ,,ადვოკატი ვალდებულია: კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები“.

6.1.2 ,,ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის” მე–8 მუხლის მე–5 ნაწილი: „ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა.“

6.1.3 ,,ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 ნაწილი: „ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან.“

6.1.4 ,,ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ მე-8 მუხლის მე-6 ნაწილი: ,,ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წამოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ“.

6.1.5 ,,ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ მე-3 მუხლი: ,,კლიენტისა და ადვოკატის ურთიერთობა ეფუძნება ნდობას. ადვოკატისადმი კლიენტის ნდობა ეფუძნება ადვოკატის პირად ღირსებას, პატიოსნებას, შეუვალობას კომპეტენტურობას და დამოუკიდებლობას. ადვოკატმა არ უნდა იმოქმედოს ისე, რომ ეჭვქვეშ დააყენოს მისდამი კლიენტის ნდობა. აღნიშნული თვისებები ადვოკატის პროფესიული ვალდებულებაა“.

6.2 ადვოკატის მიერ საქმის წარმოების ერთ-ერთ ფუძემდებლურ პრინციპს წარმოადგენს ნდობის პრინციპი. ადვოკატსა და კლიენტს შორის ნდობის ჩამოყალიბებას ხელს უწყობს ადვოკატის მიერ პროფესიული ფუნქციების კეთილსინდისიერად შესრულება და შეთანხმებული წესით კლიენტის ჯეროვანი ინფორმირება.

6.3 ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ეთიკის კომისიის კომპეტენციაში არ შედის ადვოკატის მიერ განხორციელებული საპროცესო ქმედებების და ტაქტიკის არსებითი სამართლებრივი შეფასება. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2002 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილების მიხედვით (განაცხადი #C-309/99; J.C.J. Wounters and others vs Algemene Raad van de Nederlandse Orde van Advocaten): ,,ადვოკატთა ასოციაციას არ შეუძლია დაადგინოს წესები ადვოკატებისათვის, რომელიც მათ მიერ გაწეული სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი რჩევის ხარისხს შეაფასებს. ადვოკატები საადვოკატო საქმიანობის ლიცენზიის მისაღებად აბარებენ გამოცდებს და მუდმივად გადიან კვალიფიკაციის ასამაღლებელ სემინარებს. გარდა ამისა, იურიდიული მომსახურების ბაზარზე კლიენტი აკეთებს არჩევანს, თუ რომელი ადვოკატის მომსახურება მიიღოს და შესაბამისად წინასწარ უნდა ითვალისწინებდეს მისი კვალიფიკაციის ხარისხს.“

6.4 განხილვის კომისია სრულად იზიარებს საჩივრის ავტორის მოსაზრებას, რომ ადვოკატი არაკეთილსინდისიერად მოიქცა მაშინ, როდესაც არ მიაწოდა კლიენტს ინფორმაცია არასათანადო მოპასუხის შესახებ და სასამართლო სხდომის თარიღის შესახებ. განხილვის კოლეგია ვერ გაიზიარებს ადვოკატის პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ კლიენტი თანხას იხდის „იმ კომფორტში“, რომ არ გამოცხადდეს სასამართლოში და მის ნაცვლად ადვოკატმა დაიცვას მისი ინტერესები. ადვოკატის ვალდებულებაა შეატყობინოს კლიენტს საქმის მიმდინარეობის, სხდომის ჩანიშვნის თარიღების, საქმეზე მოსალოდნელი შედეგებისა და საქმესთან დაკავშირებული სხვა ინფორმაციის შესახებ, ხოლო გადაწყვეტილების მიღება, გამოცხადდება თუ არა კლიენტი სასამართლო სხდომაზე, მხოლოდ და მხოლოდ კლიენტს შეუძლია. ადვოკატს არ აქვს უფლება კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდების გარეშე და მასთან შეუთანხმებლად, კლიენტის ნაცვლად მიიღოს გადაწყვეტილება.

6.5 ეთიკის კომისიამ 2014 წლის 12 ივნისის N077/13 გადაწყვეტილებაში ნდობის პრინციპთან დაკავშირებით მიუთითა, რომ ,,ადვოკატისადმი კლიენტის ნდობის დამკვიდრება, მათ შორის მომავალი საქმიანი ურთიერთობის ჩამოყალიბებისა და გაგრძელების საფუძველია. კლიენტს ადვოკატის პიროვნული და საქმიანი თვისებების გათვალისწინებით უყალიბდება იმის რწმენა, რომ ადვოკატი კეთილსინდისიერად მიუდგება მისდამი მინდობილ საქმეს და დაიცავს მის ინტერესებს. შესაბამისად, ადვოკატი არ უნდა მოქმედებდეს ისე, რომ ეჭვქვეშ დააყენოს მისდამი კლიენტის ნდობის საკითხი და ჩრდილი მიაყენოს ადვოკატის პროფესიისადმი საზოგადოებაში დამკვიდრებულ მაღალ შეხედულებას. აღნიშნულს მოითხოვს ადვოკატთა პროფესიის კორპორატიული არსი“. (იხ.ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება, საქმე # 077/13, 12.06.2014).

6.6 ეთიკის კომისიამ კლიენტის დროული ინფორმირება გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების გადანაწილებას დაუკავშირა 2012 წლის 22 მარტის გადაწყვეტილებაში დისციპლინურ საქმეზე N092/11, სადაც განმარტა, რომ ,,ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება უკავშირდება გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების გადანაწილებას, კლიენტი ჩართულია საქმის მიმდინარეობის თაობაზე და აქვს შესაძლებლობა, გონივრულად მართოს საკუთარი ქმედებები. ადვოკატი ვალდებულია განუმარტოს კლიენტს საკითხები ზედმიწევნით, რაც კლიენტს მისცემს შესაძლებლობას, მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილებები.“ (იხ.ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება, საქმე # 092/11, 22.03.2012).

6.7 ეთიკის კომისიამ დაადგინა, რომ ადვოკატმა ფ. მ.-მ 2016 წლის 26 თებერვლის სასამართლო სხდომის შესახებ კლიენტს არ მიაწოდა ინფორმაცია. ამას დაემატა ისიც, რომ კლიენტის განმარტებით, ადვოკატი ფ. მ. ნ. ო.-ს თავად არასოდეს ურეკავდა და ნ. ო.-ის ზარებს პასუხობდა ისე, რომ კლიენტი ინფორმაციას სრულყოფილად ვერ იღებდა, შესაბამისად, კლიენტმა დაკარგა

ადვოკატის მიმართ ნდობა და 2016 წლის 26 თებერვლის სხდომაზე, როდესაც ადვოკატს შეაგვიანდა პროცესზე მისვლა, კლიენტმა მას შეუწყვიტა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება.

6.8 კოლეგია მიიჩნევს, რომ მართალია ადვოკატმა ფ. მ.-მ განახორციელა იურიდიული მოქმედებები, რომლებიც იყო კლიენტის საქმის წარმატებით დასასრულებლად მიმართული, მაგრამ ადვოკატსა და კლიენტს შორის გართულებული კომუნიკაციის შედეგად, ადვოკატის მიერ პროცესზე დაგვიანების გამო, კლიენტმა დაკარგა რა ადვოკატის მიმართ არსებული ნდობა, გაწყვიტა მასთან საადვოკატო ურთიერთობა.

6.9 კლიენტის ინფორმირებისა და ნდობის პრინციპი მჭიდრო კავშირშია საქმის კეთილსინდისიერად წარმოების ვალდებულებასთან. ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ფ. მ.-ის მიერ დარღვეულია ნდობის, ჯეროვანი ინფორმირებისა და კეთილსინდისიერების პრინციპი.

6.10 განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ ფ. მ.-ის მიერ დარღვეულია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილი:

,,ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის“ მე-8 მუხლის მე-15 ნაწილი: ,,კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი”.

6.11 ეთიკის კომისიამ 2016 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილებაში დისციპლინურ საქმეში N038/16 განმარტა, რომ ,,საადვოკატო მომსახურების საფასურს წარმოადგენს თანხა, რომელზეც ადვოკატი და კლიენტი წინასწარ თანხმდებიან გასაწევი იურიდიული მომსახურების სანაცვლოდ. შესაძლებელია ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა დასრულდეს ერთ-ერთი მხარის ნების საფუძველზე, ადვოკატის მიერ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულების სრულად შესრულებამდე. კლიენტის მიერ გარკვეული მოცულობის სამუშაოს გასაწევად გადახდილი შეთანხმებული ჰონორარი, არ მიიჩნევა ადვოკატის მიერ სამართლიანად გამომუშავებულად, თუკი ადვოკატმა ვერ განახორციელა საადვოკატო მომსახურება იმ მოცულობითა და ფარგლებში, როგორც ამას კლიენტთან შეთანხმება ითვალისწინებდა. იმ შემთხვევაში როდესაც ადვოკატს კლიენტისგან მიღებული აქვს შეთანხმებული საადვოკატო მომსახურების საფასური სრულად, ხოლო მან ხელშეკრულების შეწყვეტის გამო ვერ შეძლო წარმომადგენლობის დასრულება, ადვოკატს უფლება აქვს მიღებული თანხიდან გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი (მის მიერ გაწეული მომსახურების პროპორციულად) და ვალდებულია დარჩენილი თანხა დაუბრუნოს კლიენტს. აღნიშნული ეთიკური ვალდებულების დაცვა ემსახურება კლიენტის საუკეთესო ინტერესებს და ადვოკატის პროფესიულ სახეს, რომელიც თავისი ქმედებებით პატივისცემას უნდა აღძრავდეს კლიენტში და განამტკიცებდეს ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობას.“ ეთიკის კომისიის აღნიშნულ განმარტებასა და პრაქტიკას ეთანხმება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა, 2016 წლის 21 ნოემბრის გადაწყვეტილებით საქმეში Nდს-შ/7-16.

6.12 განხილვის კოლეგიის შეფასებით, ი. ო.-სა და ადვოკატ ფ. მ.-ს შორის საადვოკატო მომსახურების თაობაზე შეთანხმება წერილობითი ფორმით გაფორმდა 2015 წლის 25 აგვისტოს. ნ. ო.-სა და ადვოკატ ფ. მ.-ს შორის მინდობილობა გაფორმებულია 2015 წლის 04 სექტემბერს. საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა ნ. და ი. ო.-ებისათვის იურიდიული მომსახურების გაწევა სამოქალაქო სამართლის საქმეზე. როგორც ადვოკატ ფ. მ.-ის წარმომადგენელმა განუმარტა კოლეგიას, ხელშეკრულებით ადვოკატმა ვალდებულება აიღო წარმოედგინა კლიენტის ინტერესები საჭიროებისამებრ, სამივე ინსტანციის სასამართლოში. საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებით დადგენილი ჰონორარი შეადგენდა 1000 (ათას) აშშ დოლარს, რომელიც ი. ო.-მ ორ ეტაპად გადაუხადა ადვოკატს: 700 (შვიდასი) აშშ დოლარი გადაუხადა ხელშეკრულების ხელმოწერისთავანავე, ხოლო დარჩენილი თანხის 300 (სამასი) აშშ დოლარის გადახდა განხორციელდა 2015 წლის 5 სექტემბერს.

6.13 კლიენტმა ადვოკატთან ცალმხრივად, ვადაზე ადრე გაწყვიტა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება, მას შემდეგ, რაც ადვოკატმა სასამართლოს სხდომაზე დააგვიანა. მიუხედავად სურვილისა, კლიენტის წარმომადგენლობის გაგრძელება ადვოკატმა ფ. მ.-მ ვერ შეძლო კლიენტის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტიდან გამომდინარე. საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ კლიენტს უფლება აქვს ნებისმიერ დროს განაცხადოს უარი ადვოკატის მომსახურებაზე და ადვოკატს წარმოეშობა ეთიკური ვალდებულება - სავარაუდო თანხა, რაც შეიძლება ექვივალენტური იყოს მის მიერ გაწეული მომსახურებისა, გამოქვითოს გადახდილი ჰონორარიდან, ხოლო დარჩენილი ნაწილი კი დაუბრუნოს კლიენტს.

6.14 კლიენტები ი. და ნ. ო.-ები და ადვოკატი ფ. მ. სადავოდ არ ხდიან იმ ფაქტს, რომ ადვოკატმა მიიღო საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებული ჰონორარი 1000 (ათასი) აშშ დოლარი, თუმცა მხარეებს ხელშეკრულებით არ აქვთ დადგენილი კლიენტის მიერ გადახდილი ჰონორარიდან საქმის წარმოების რომელ ეტაპზე რა თანხა იყო გათვალისწინებული ადვოკატის გასამრჯელოდ.

6.15 ადვოკატ ფ. მ.-ის მიერ განხორციელებულია შემდეგი საადვოკატო მოქმედებები: ადვოკატი დაესწრო თავდაპირველად ჩანიშნულ გამოსახლების პროცესს, რომელიც გადაიდო ნ. ო.-ის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო; ადვოკატმა შეიმუშავა საქმის წარმოების სტრატეგია და სასამართლოს მიმართა სარჩელითა და მოთხოვნის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ განცხადებით. სასამართლომ სარჩელი მიიღო წარმოებაში, მაგრამ მოთხოვნის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. ადვოკატმა ურჩია კლიენტს დაეშალა სახლი და გაეყიდა სამშენებლო მასალები. ადვოკატი გამოცხადდა სასამართლოს სხდომაზე, რომელიც გადაიდო, რადგან კლიენტმა მას განუცხადა აცილება.

6.16 ადვოკატი განმარტავს, რომ კლიენტის საქმის წარმოება არ დაუსრულებია, რადგან კლიენტმა შეუწყვიტა ხელშეკრულება, ი. ო.-სთან დადებულ საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების 5.4 პუნქტში კი მითითებული ჰქონდა ასეთი დათქმა: ,,თუ წინამდებარე ხელშეკრულება ვადამდე წყდება კლიენტის ინიციატივით, მაშინ იგი გადახდილი თანხის უკან დაბრუნებას ვერ მოითხოვს. ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულების გარდა დარჩენილი თანხა ჩაითვლება ზიანის ანაზღაურების ანგარიშში. ეს წესი არ გამოიყენება, თუ კლიენტს ხელშეკრულების მოშლის მნიშვნელოვანი საფუძველი ჰქონდა“. ადვოკატის პოზიციით კლიენტი ხელმოწერით დაეთანხმა ხელშეკრულებას, აქედან გამომდინარე მას არ ეკისრება ვალდებულება ნ. ო.-სა და მის ოჯახს დაუბრუნოს გამოუმუშავებელი საადვოკატო მომსახურების ჰონორარი.

6.17 ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ხელშეკრულების ჩანაწერი, რომლის საფუძველზეც ადვოკატი უარს აცხადებს ჰონორარის ნაწილის დაბრუნებაზე ეწინააღმდეგება პროფესიული ეთიკის ნორმებს და არ ათავისუფლებს ადვოკატს გამოუმუშავებელი ჰონორარის დაბრუნების ვალდებულებისაგან. ამ ეთიკურ ვალდებულებასა და ხელშეკრულების დადების თავისუფლების პრინციპზე იმსჯელა საქართველოს უზენაესმა სასამართლომ და განმარტა, რომ „ხელშეკრულების თავისუფლება არ ქმნის დადგენილი პროფესიული სტანდარტის უარყოფის საფუძველს, სახელშეკრულებო დათქმა ეწინააღმდეგება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის სპეციალურ ნორმას, რომლის თანახმად, კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან წარმოების პროცესში. ამასთანავე, დავალების ხელშეკრულების მომწესრიგებელი წესების თანახმად, რწმუნებული მოვალეა დაუბრუნოს მარწმუნებელს ყველაფერი, რაც მან მიიღო მინდობილი მოქმედების შესასრულებლად (სკ-ის 715.1 მუხლი), მათ შორის წარმომადგენლობითი ფუნქციის განხორციელებისათვის ანაზღაურების სახით გადახდილი საფასურის თანხის ის ნაწილი, რომელიც ეხება გაუწეველი მომსახურების ღირებულებას. სადისციპლინო კოლეგია ადვოკატის ქცევის სტანდარტის დაცულობის შემოწმებისას არ არის შებოჭილი მხარეებს შორის დადებული შეთანხმების ტექსტით. პროფესიული ქცევის სტანდარტის სფეროს შეადგენს არა გასამრჯელოს ოდენობა, არამედ ადვოკატის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, შეთანხმებით გათვალისწინებული საადვოკატო მომსახურების მოცულობისა და ფარგლების დაცულობა. გასაწევი მომსახურების სრულად შეუსრულებლობა მარწმუნებლის მიერ ხელშეკრულებაზე უარის თქმის გამო, ავალდებულებდა რწმუნებულს, გაწეული მომსახურების ღირებულების გამოქვითვით, გადახდილი თანხის დაბრუნებას.“ (იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილება, საქმე #დს-მ/17-16. 21.11.2016).

6.18 შესაბამისად, განხილვის კოლეგიას მიაჩნია, რომ ადვოკატმა დაარღვია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მე-15 ნაწილი, რადგან კლიენტის მიერ ხელშკერულების შეწყვეტის გამო ადვოკატმა ფ. მ.-მ კლიენტს არ დაუბრუნა საადვოკატო მომსახურების თანხის ის ნაწილი, რომელიც სამართლიანად არ გამოუმუშავებია. აქვე ეთიკის კომისია განმარტავს, რომ არანაირი მნიშვნელობა არ ენიჭება იმ ფაქტს, თუ ვისი ინიციატივით წყდება ხელშეკრულება, გამოუმუშავებელი ჰონორარის დაბრუნება მაინც წარმოადგენს ადვოკატის ეთიკურ ვალდებულებას.

6.19 ეთიკის კომისიამ დაადგინა, რომ ადვოკატმა ფ. მ.-მ დაარღვია კლიენტის ინფორმირების, კეთილსინდისიერი წარმომადგენლობისა და გამოუმუშავებელი ჰონორარის დაბრუნების ვალდებულება, რის გამოც დისციპლინური სახდელის ფორმად უნდა განესაზღვროს გაფრთხილება.

6.20 ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 34-ე მუხლი განსაზღვრავს დისციპლინური სახდელის სახეებსა და ზემოქმედების ღონისძიების ფორმებს, რომელიც შესაძლოა ადვოკატს დაეკისროს დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში. ეს სახდელებია გაფრთხილება, საადვოკატო საქმიანობის უფლების შეჩერება და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა, ხოლო ზემოქმედების ღონისძიებას წარმოადგენს კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა.

6.21 ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 2(5) მუხლი პირდაპირ უთითებს, რომ ადვოკატისთვის დისციპლინური სახდელის დაკისრებისას გათვალისწინებული უნდა იქნას დისციპლინური გადაცდომის სიმძიმე და მიყენებული ზიანი. განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, ეთიკის კოდექსის მიზნებიდან გამომიდინარე, საუბარია ადვოკატის პროფესიისათვის მიყენებული ზიანის განსაზღვრაზე. თუმცა ეს არ გამორიცხავს კლიენტისათვის მიყენებული ზიანის გათვალისწინების შესაძლებლობასაც.

6.22 ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ადვოკატის მიერ ჩადენილ დისციპლინურ გადაცდომასთან შეფარდებული სახდელის პროპორციულობის განხილვისას ეთიკის კომისიამ უნდა გაითვალისწინოს ადვოკატის მიერ ჩადენილი გადაცდომის სახე, სიმძიმე, პროფესიისათვის მიყენებული ზიანი, კლიენტისათვის მიყენებული ზიანი, ადვოკატის პიროვნება, მისი რეპუტაცია, ადვოკატის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომები, რომლებიც არ არის გაქარწყლებული, ადვოკატის დამოკიდებულება ჩადენილი ქმედების მიმართ, არაეთიკური ქცევის თაობაზე ადვოკატის ადეკვატური აღქმა და სხვა გარემოებები, რომელიც მნიშვნელოვანია ეთიკის კოდექსის ძირითადი მიზნის მისაღწევად.

6.23 საქართველოს უზენაესმა სასამართლომ იმსჯელა ადვოკატის მიერ ჩადენილ დისციპლინურ გადაცდომასთან შეფარდებული სახდელის პროპორციულობის თაობაზე მის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში და განმარტა, რომ "სახდელის დანიშვნის დროს ეთიკის კომისიის მიერ მხედველობაში მიიღება ის ზოგადი წესები, რომლებიც განაპირობებს სამართლიანი სახდელის დაკისრებას, პირის დასჯას მის მიერ ჩადენილი ქმედების თანაზომიერად. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია ჩადენილი გადაცდომის ხასიათის, დამრღვევის პიროვნების, გადაცდომის სიმძიმის, შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების მხედველობაში მიღებით, რაც სახდელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გატარების აუცილებელი პირობათაგანია."(იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილება, საქმე #დს-შ/3-17, 22.05.2017)

6.24 განხილვის კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატის დისციპლინირების მიზანი არის არა მისი დასჯა, არამედ ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის პრევენცია, საზოგადოების დაცვა ადვოკატის არაეთიკური ქცევისაგან და პროფესიული ღირებულებების დაცვა, რაც საბოლოო ჯამში ემსახურება საზოგადოებაში ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის დამკვიდრებას.

6.25 მოცემულ შემთხვევაში, განხილვის კოლეგია ითვალისწინებს დისციპლინური გადაცდომის ხასიათს, სიმძიმეს, ასევე ფაქტს იმის თაობაზე, რომ ადვოკატი ფ. მ. ბოლო ერთი წლის განმავლობაში არ ყოფილა დისციპლინირებული, რის გამოც ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ფ. მ.-ის მიმართ საადვოკატო საქმიანობის უფლების შეჩერება ან შეწყვეტა იქნება ზედმეტად მკაცრი, შეუსაბამო და არაპროპორციული სახდელი ჩადენილ გადაცდომასთან.

6.26 ეთიკის კომისია ითვალისწინებს ფაქტს, რომ ადვოკატი ფ. მ. ვერ აცნობიერებს ჩადენილი ქმედების არაეთიკურ ხასიათს; მიუხედავად საპროცესო კოლეგიის მიერ კლიენტთან მოსარიგებლად მიცემული დროისა, ფ. მ. კლიენტს ვერ მოურიგდა და მიაჩნია, რომ ადვოკატისათვის დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებით - კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა ქმედითი ვერ იქნება.

6.27 ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა პასუხისმგებლობის სამართლიანობისა და კანონიერების პრინციპით, მხედველობაში მიიღო ეთიკის კომისიის პრაქტიკა, საქართველოს უზენაესი

სასამართლოს სადისციპლინო პალატის განმარტებები პასუხისმგებლობის პროპორციულობასთან დაკავშირებით, და მიიჩნია, რომ ადვოკატ ფ. მ.-ს, ჩადენილი დისციპლინური გადაცდომების გამო, დისციპლინური სახდელის ფორმად უნდა განესაზღვროს გაფრთხილება.

6.28 რაც შეეხება საჩივრის ავტორების მეორე მოთხოვნას, თანხის დაბრუნების მოთხოვნას, ეთიკის კომისია განმარტავს, რომ აღნიშნული საკითხის განხილვა სცილდება ეთიკის კომისიის კომპეტენციას. საჩივრის ავტორებს განემარტოთ, რომ აღნიშნული მოთხოვნით მათ უფლება აქვთ მიმართონ სასამართლოს.

III სარეზოლუციო ნაწილი

განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტით, მე-6 მუხლის მე-2 ნაწილით, 32-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 34–ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით, 35-ე მუხლით, 35[1] მუხლით, 36-ე მუხლით; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-3 მუხლით, მე-8 მუხლის მე-5, მე-6 და მე-15 ნაწილებით; ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობის და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-4 მუხლის მე-5, მე-6 პუნქტებით, მე-19 მუხლით, მე-20 მუხლით, 33-ე მუხლით, 35-ე მუხლით, მე-40 მუხლის მე-2 პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე N101/17 ადვოკატ ფ. მ.-ის მიმართ /სიითი №..../ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს გაფრთხილება.
2. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება ადვოკატის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს უზენაეს სასამართლოში, დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში საჩივრის წარდგენის გზით.

კოლეგიის თავმჯდომარე: /გია ტაბლიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ანა ხურციძე/

კოლეგიისწევრი: /ანა ლორია/